წელიწადი მე-2-ე

# სამშობლო

№ 353

ხუთშაბათი, 12 მაისი

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით 7 კ** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის ... ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ტელეფონი № 76

პლატონ ივანეს ძე ლაღიძე აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ დღეს 12 მაისს საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მისი მეუღლის

მარი (მარიამის) აბრამის ასულის ლაღიძის

სულის მოსახსენებლად.

1—166—1

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან ახალი პროგრამა.

საჰაერო დაზვერვა. სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

დანაშაულობიდან დანაშაულისაკენ.

მხიარული კომედია 3 ნაწილად ცნობილ მსახიობ: ვ. კარალისა მამის ა. კალარილოვცევის მონაწილეობით.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 12 მაისიდან, მხოლოდ მოზრდილთავის ნაჩვენები იქნება

საჰაერო დაზვერვა.

სურათი გადაღებულია ბუნებიდან ფრანგთა კინემატოგრაფიული სინდიკატის მიერ.

ადგილების ფასი „ამპირსა" და „რადიუმში"; ლოჟა 85 კაპ, 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., რაჯის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ქ. ქუთაისში 1 ივნისიდან იხსნება სამი თვის

ჭრა-კერვას

კერძო კურსები.

მიღება დაიწყება სამ მაისიდან დამლევამდე. პირობების გაგება შეიძლება: ფრანგების ქუჩის შესახვევშისახლი კოსტანოვისა, მასწავლებელ ეკატერინე ალიხანაშვილთან, ნაშუადღევის 3—7 საათ. კვირა უქმეობით დილის 10 საათ. საღამ. 6 საათამდი.

მსურველს შეუძლია სამასწავლებლო ატესტატი მიიღოს.

156 ეგზამენის დაჭერა მოხდება ექსპერტების თანადასწრებით.

სკოლა ტყეში

3750 ფუტია ზღვის დონაზე წელიწადი მესამე

საზაფხულო ახალშენი ჯანით სუსტი ბავშვებისათვის წაღვერის ტყეში.

ზ. გ. არჯევანიძისა.

სეზონი გაიხსნება 20 მაისს.

ბავშვების ჩაწერა შეიძლება: ქუთაისში, გიორგი ნიორაძესთან. 7--6

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით, $12^{1}/_{2}$— საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, 11 სახლი № 2. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №. 14 46, ტელეფონი № 87 თ

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნყმსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლეს კურსდამთავრებული ჯგუფი

ამზადებს

მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასებისათვის და აგრეთვე სხვადასხვა მოწმობის მისაღებ გამოცდებისათვის. პირობების გაგება შეიძლება საღამოს ყოველ დღე შემდეგი მისამართით: თბილისის ქ. სახლი გიორგი გურგენიძასა. თ.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები.

(უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან)

**პეტროგრადი**, 9 მაისი, ოფიციალი. სოფ. ოსტროვის მიდამოებში, ნნროჩის ტბის ჩრდილოეთით, საღამოს 7 მაისს, საშინელი საარტირელიო ცეცხლით გერმანელები შეეცადნენ იერიშით წამოსვლას მაგრამ უკუ ვაქციეთ. ნაროჩის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა არტილერიამ გაჰფანტა გერმანელების რაზმი. სოფ კოსტიუხნოვკის მიდამოებში, ჩარტორისკის ჩრდილო დასავლეთით ჩვენ შევაჩერეთ მტრის იერიშები. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში რიგის სრუტიდან ვიდრე რუმინეთის საზღვრებამდე ჩვეულებრივი სროლაა.

**ბალტიის ზღვა.** ჩვენმა წყალქვეშამ დაღუპა გერმანელების სამი გემი.

**კავკასიის ასპარეზი.** დიარბექირის მიმართულებით მოწინავე ნაწილების შეჯახებაა.

**პარიზი**, 8 მაისი (დასასრული) გუშინ გერმანელთა მფრინავებმა დიუნკერკს ყუმბარები დაუშინეს. აქ ჩამოაგდეს 20 ყუმბარა, 15 კაცი დაიჭრა, 4 მკვდარია. ამავე ადგილებში გერმანელთა მფრინავ ესკადრამ 100 ყუმბარა ჩამოაგდო 20 ჯარის კაცი დაიჭრა, 2 კაცი და ერთი ბავშვი მოკვდა. ამავე დღეს მოკავშირეთა 53 მფრინავმა ვეივერგთან და ტისტელთან 250 ყუმბარა ჩამოაგდო.

**რომი**. ოფიციალი, 6 მაისი, ადამელოს მიდამოებში ჩვენმა ჯარმა სარკას სიმაღლე ხელთ იგდო, აქ 30 ტყვე და მრავალი სურსათი ვიგდეთ ხელთ. კიეზე და ადიჟეს შუა მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა ადიჟე და ტერანიოლის შუა პუნიატორტი ასპარეზი გავანთავისუფლეთ და უკან დავიხიეთ. სამი დღის ბრძოლის შემდეგ ეს ადგილები სულ მინგრეულია. ტერანოლის და ასტიკოს მიმართულებით მტერმა მრავალი ზარბაზანი აახმაურა მონტე მაჯიოს და სალო-დასპიოს შუა. ეს ბრძოლის ხაზი დავტოვეთ და მწყრობრად უკან დავიხიეთ და გავმაგრდით. ასიაგოს მიდამოებში არავითარი ცვლილება არ მომდარა ჩვენმა ზარბაზნებმა ინიხენ-სილიანის ხაზს ყუმბარები დაუშინეს. სხვა ადგილებში ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლაა.

**პარიზი**. 8 მაისი. დღის ოფიციალი ცნობა. ბაკკარი-ეფინალ-ბეზულის მიდამოებში გერმანელთა მფრინავების თავდასხმას დიდი ზიანი არ მოუყენებია: სუბუქად არის დაჭრილი 4 კაცი. 7 მაისს ღამით, ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს თიოვენილზე; უშენდენ აგრეთვე ეტენს, სპენკურას და ბანაკს აზან-დამვილერის მიდამოებს ჩამოყრილ ყუმბარებმა სადგურის შენობებში ცეცხლი გააჩინეს. ბეზონში შეებრძოლენ ოთხი ჩვენი საფრენი და მტრის სამი „ფოქსერი" დაზიანდა მტრის ერთი საფრენი, ერთი „ფოქსერთაგანი" ჩვენმა არტილერიამ გაანადგურა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### აფრიკა.

გენერალ სმეტას ჯარმა სამუდამოთ დაამარცხა გერმანელთა ახალშენების ჯარი

——

ავსტრიასა და იტალიას შორის ბრძოლა უსასტიკეს ხასიათს იღებს. ეს ერთი კვირა იქნება ავსტრიელები იტალიის ასპარეზზე სასტიკ შეტევაზე გადავიდნენ.

——

სოლუნში ვენეზელიოსის მომხრეებმა მიტინგი გამართეს.

——

სალონიკთან დიდი ბრძოლა დაიწყო. ბრძოლის შედეგს ჯერ არც ერთი შტაბი არ აქვეყნებს.

——

ნორვეგიის მთავრობამ აკრძალა შვეციიდან საკლავ საქონლის და სხვადასხვა სურსათის შემოზიდვა.

——

სმირნაში ენვერ-ფაშა იყო. სმირნა ოსმალებს ახლა საკმაოდ გამაგრებულად მიაჩნიათ.

——

მინსკის თავზე გერმანელების ჰაეროპლანები დაფრინავენ და ყუმბარებს ყრიან.

——

დვინსკის ფრონტზე გერმანელებს ჯერ სერიოზული შემოტევა არ დაუწყიათ.

——

გერმანელებსა და ბულგარელებს მაკედონიის ფრონტზე დიდძალი ჯარი გადაყავთ.

——

რუმინიაში დიდი წყალდიდობაა. წყალდიდობამ ბუქარესტში ბევრი დიდი შენობა დაანგრია.

——

რუმინიის პოზიცია ეხლა უკვე გამორკვეულად მიაჩნიათ. იგი უთუოდ ცენტრალ სახელმწიფოებს მიემხრობა.

——

ვერდენთან ბრძოლა ძლიერ გამწვავდა. ბრძოლის ცეცხლი გაუნელებელია. მიდამოები დახოცილ დასახიჩრებულებით არის ავსილი.

——

ბალკანეთის ასპარეზზე ვერდენის ორივე ნაპირზე ბრძოლა სწარმოებს. დიდ ამბებს მოელიან დოირანთან და სალონიკთან.

——

ავსტრიამ და გერმანიამ პრიპიატის ხაზზე დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი

——

საზღვაო ბრძოლა უკვე იწყება. ბალტიის ზღვაზე დიდი ყალიბის ზარბაზნებს ამოქმედებენ. ჯერ ჯერობით სდუმს მხოლოდ შავი ზღვა „ბრესლაუს" შავ ზღვაში მოელიან.

——

გალიციის ასპარეზზე კარგა ხანია სიწყნარე ჩამოვარდა. როგორც სჩანს, ორივე მოპირდაპირე მომავალი შეტაკებისთვის ემზადება.

——

ჰოროხის მიდამოებში წვრიმალი შეტაკებები ხდება

——

ბელგიის მეფე ალბერტი უქეიფოთ გამხდარა.

——

ალანდიის კუნძულებთან ინგლისის კრეისერი სდგას.

——

კავკასიის ასპარეზმა დიდი ყურადღება მიიქცია. რუსეთის სამხედრო მიმოხილველები მას პირველ რიგის მნიშვნელობას აკუთვნებენ. ამ ბოლო დროს ოსმალების შემოტევებს რუსი მიმომხილველები არაფრად აგდებენ და წინსვლას მოითხოვენ. საზღვარგარეთის სამხედრო მიმომხილველები კი დიდ ყურადღებას აქცევენ ოსმალოს ჯარის მოქმედებას კავკასიის ასპარეზზე და აღიარებენ, რომ ოსმალონი გადამწყვეტ ბრძოლისთვის ემზადები ან, რისთვისაც მათ უკვე მოუყარეს საკმაო ძალებს თავიო. ენვერ-ფაშას იმედი აქვს საქმის სულ მოკლე ხანში გამობრუნებისა.

——

სუეცის არხთან ოსმალეთის შტაბს ორი დივიზია გაუგზავნია.

## ქართული პრესა.

როგორც ვიცით, საერობო თათბირზე ბევრი რამ საგულისხმიერო გამოაშკარავდა კავკასიაში მცხოვრებ ერების დამოკიდებულების შესახებ.

აშკარა წინაამდეგობით განსაკუთრებით თავი ისახელა 21 სომეხ წარმომადგენელმა, რომელნიც წინაალუდგენ თათბირზე დანარჩენ ერების წარმომადგენელთ და მოინდომეს თათბირის მუშაობა თავის ეროვნულ მისწრაფებისათვის დაემორჩილებიათ, და თუ ამას ვერ შესძლებდენ ისეთი სახე მიეცათ თათბირისათვის, რომ ერობის შემოღება კავკასიაში დიდი ხნით გადადებულიყო. ქართველების, მუსულმანებისა და რუსების წარმომადგენლებმა მათი სულის კვეთება ადრევე შეიგნეს და საერობო თათბირზე ერთსულოვნათ გამოვიდნენ. ამის შესახებ გაზ. „საქ." სწერს:

„გარიყულნი დარჩნენ თაბირზე სომხურ ნაციონალიზმის წარმომადგენელნი. არავინ დაუჯერა მათ, რომ ისინი მთელი კუთხის კეთილდღეობით არიან გამსჭვალულნი და არა ვიწრო სომხური ლტოლვილებით. ჩვენ მეზობელთა ფარული ზრახვანი რაც ჩვენთვის აქამდეც საიდუმლოებას არ შეადგენდა, მთელი თავისი საშიშვლით დაეხატა თვალწინ ქართველ საზოგადოებას და კავკასიის ყველა ეროვნებებს, და თვით სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელთ, თათბირის მონაწილეთ. ეს დიდი შედეგია იმ დიდი საერობო თათბირისა, რომლის მოწვევა კეთილ ინება მისმა უმაღლესობამ მეფის ნაცვალმა.

როგორც ვიცით, ამასთანავე კავკასიაში მცხოვრებ ერებიდან საერობო თათბირში მონაწილეობა არ მიუღიათ ებრაელების წარმომადგენელთ. მათი გამოთიშვა კი მომავალ საერობო თვითმართველობიდან უსამართლობა იქნებოდა და თ-დ დ. ო ნიჟარაძის წინადადება, რომ საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს მიეცესთ თანასწორი უფლება მონაწილეობა მიიღონ საერობო თვითმართველობაშიო— თათბირის უკანასკნელმა კრებამ დაადასტურა. ამაზე ესევე გაზეთი ამბობს:

ქართველი ერი, ყველა მისი წოდება, კლასი თუ ჯგუფი ქართველ ებრაელებს სრულუფლებიან წევრებად აღიარებს საერთო ეროვნულ ოჯახში. ეხლანდელი ქართველთა თაობა მტკიცედ ადგია ძველთაგან ნაანდერძევ მცნებას, რომ ქართველი ებრაელი, კათოლიკე თუ გრიგორიანი მხოლოდ ნაწილებია იმ ერთი უმაღლესი არსისა, რომელსაც ქართველი ერი ეწოდება.

საერობო თვითმართველობა, თუ მის შემოღებას კიდევ ხელი არ შეუშალეს, დიდს სამსახურს გაუწევს ქონებრივად და გონებრივად დაუძლურებულ ჩვენს ქვეყანას. სახალხო სწავლა განათლების საქმე, მეურნეობა თუ აღებმიცემობა, სოფლის გზების და ჯანმრთელობის საკითხი მთავრობის დაწესებულების ხელიდგან საზოგადოებრივ ძალთა წარმომადგენლებს გადაეცემა. ამ საერობო მუშაობაში უნდა ჩაებას ჩვენი ქვეყნის ყველა ძალები მიუხედავად რწმენისა და მიმართულებისა. ჩვენ ქვეყნის ქონებრივ და კულტურულ აღორძინებისთვის მუშაობამ უნდა შემოკრიბოს ეროვნული სხეულის ყველა ნაწილები და ამიტომ არის საგულისხმო საერობო თათბირის დადგენილება ადგილობრივ ებრაელების უფლებების აღიარებისა მომავალ საერობო მოღვაწეობაში.

## ბ ა კ ვ რ ი თ.

თანამედროვე ომმა ბევრი საჭირ ბოროტო საკითხი წამოაყენა როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, მათი განხილვა-გადაწყვეტა დაყოვნებას არ თხოულობს და რაც ადრე და მალე გადავწყვეტთ მათ, მით უფრო უკეთესი იქნება, ვინაიდგან ჩვენი ქვეყანაც მსოფლიო ომის ფერხულშია ჩაბმული და საუკუნეებით ოფლით ნაშენ—ნაკეთები ისევ კაცის ხელითვე ინგრევა და უსახლკაროთა და უპატრონოთა რიცხვი თანდათანობით მრავლდება.

აი, სწორედ ასეთ მდგომარეობაში გვმართებს მეტი ფიქრი, მეტი საშუალების გამონახვა, რომ ვუშველოთ ჩვენს ქვეყანას. ჩვენ მოვალენი ვართ ასეთ მდგომარეობისათვის ერთმანეთს შევეკითხოთ, ერთმანეთს მოვუსმინოთ და საერთო დასკვნით მივყოთ ხელი საერთო საქმეების გაკეთებას.

როგორც მოგეხსენებათ, ამ დღეებში ქუთაისში იწყება თავად-აზნაურთა არჩევნები.

# ომის დღიური.

**ვერდენის** ბრძოლა ახალ ხასიათს იღებს გერმანელები რამდენიმე მოწინავე ხაზის გარღვევის შემდეგ ფრანგებს უსაშინლესი სიმძაფრით უტევენ და ავიწროებენ. ცნობილ მოლტკეს აზრით, ახლა გერმანელები თუ სავსებით არ დაამხობენ ვერდენს, იქაურ ფრანგთა მებრძოლ ჯარს სულ მოსპობენო.

**რუსეთის ასპარეზზე** წვრილმანი შეტაკებებია.

**კავკასიის ასპარეზზე** დიდი ცვლილება არ მომხდარა.

**იტალიის ასპარეზზე** ავსტრიელები წინ მიდიან.

---

ასარჩევნი არიან გუბერნიისა და მაზრების მარშლები.

თანამედროვე წესწყობილების გამო, თავად-აზნაურთა წინამძღოლობა რუსეთში, დიდ მნიშვნელოვანი თანამდებობაა, თუ იგი ნათლად და შესმენით ემსახურება მოვალეობას. მისი ხმა ძლიერი და გავლენიანი არის ყოველს წრეში, ყოველ საზოგადოებაში.

მით უმეტეს დღევანდელ მდგომარეობაში იგი ერთ-გვარი შემაერთებელი ხიდი არის მთავრობისა და ხალხის. საკეთილ დღეო საქმეების მოსაგვარებლად და ეს ხიდი მით უფრო მაგარი, მით უფრო საიმედო და მჭიდრო იქნება რამდენადაც მისი მოხელე თავის ადგილზე სდგას, ყოველივე გარემოებით.

სწორედ ქუთაისის გუბერნიის აზნაურობამ, რომელთაც უფლება აქვთ ამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, უფრო ფრთხილად, მეტის დაკვირვებით, მეტის სიფხიზლით, მეტი მოქალაქეობით უნდა გაუწიოს ანგარიში ამ არჩევნებს

ვიმეორებ, დღეს სხვა პირობებში გვიხდება ცხოვრება, ვიდრე ვცხოვრობდით გუშინ. და ის შემაერთებელი ხიდი, რომელზედაც უნდა გადვიაროთ, ვერ აშენდება, თუ მოხელე მისი აღჭურვილი არ იქნა ცოდნით, საზოგადოების ნდობით და გაბედულობით.

გარდა ამისა, უმნიშვნელო არ იქნება, რომ უფლებიანი კენჭოსნები უყურადღებოთ არ დასტოვებდენ ჩვენი საზოგადოების უუფლებო წევრების იმ უმრავლესობას, რომლებიც ჩვენს საზოგადო საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

სასურველია, რომ მათთან შეთანხმებით გადადგმულ იქნა — გადასადგმელი ნაბიჯი.

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

საქართველომ კიდევ ერთი რჩეული შვილი დაკარგა. 2 მაისს უცხოეთში (გერმანია) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ნიჭიერი პუბლიცისტი ლადო დარჩიაშვილი. განსვენებული ომის დაწყებამდე გერმანიაში იმყოფებოდა და გამოსვლა იქიდან ველარ მოახერხა. ლადო დარჩიაშვილის დაკარგვა ჩვენი ერისთვის დიდ და ნაკლისად ჩაითვლება. დაწვრილებით განსვენებულის ბიოგრაფიულ ცნობებსა და მოღვაწეობას ჩვენ შემდეგ შევეხებით

✦ სრულიად რუსეთის სანოვაგის მომწყობ კომისიას 30 აპრილს გაურჩევია ქუთაისის ქალაქის სანოვაგის მოსაწყობ ორგანიზაციისათვის საჭირო სესხის მიცემის საკითხი და დაუდგენია—მიეცეს ქუთაისის თვითმართველობას სესხათ სანოვაგის შესაძენათ კერძო ბანკებიდან, სახელმწიფო ხაზინის გარანტიით, 200,000 მან. ამაზე ხელს აწერს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგი. ამასთანავე დასძენენ, რომ, რადგანაც ქალაქის თვითმართველობამ არ აღნიშნა ის დაწესებულება, საიდანაც აიღებდა სესხს, ფინანსთა სამინისტროს არ შეეძლო გარანტიის ფურცელი გაეგზავნა მისთვის. ამიტომ საჭიროა ქალაქის თვითმართველობამ აღძრას შუამდგომლობა და აღნიშნოს ის დაწესებულება, საიდანაც მიიღებს სესხს. ეს სესხი არ შეიძლება მოიხმარონ მაზუთის ან ნავთის შესაძენათ. სესხი სრულიად უნდა გადაიდვას მხოლოდ სანოვაგისათვის.

✦ „საქ“. საკუთარი კორესპონდენტი ატყობინებს პეტროგრადიდან: 1 მაისს, მიტროპოლიტმა პიტირიმმა გადაიხადა პარაკლისი გამარჯვების მოსაპოვებლად. პარაკლისზე ჩაურთო საგალობელი: წმინდაო დედოფალო თამარ ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, მერე ვესაუბრე სინოდის გავლენიან წევრს. მისი აზრით, ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მიტროპოლიტმა ამით სინოდის დაუდასტურებლად დააკანონა ეს საქმე, ხოლო წინასწარ ითათბირა ცარსკოე სელოში. გამოირკვა აგრეთვე, რომ სინოდს უფლება არა აქვს გადაწყვიტოს მნიშვნელოვანი საკითხი საეკლესიო კრებისა. კრების მოწვევის ნებართვას მისცემს მხოლოდ მიტროპოლიტი საეკლესიო კანონების მიხედვით. განზრახულია მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიონ მომავალ წელს. ეს კრება უფრო მეტი უფლებებით იქნება აღჭურვილი, ვიდრე საეკლესიო კრება.

✦ ტრაპიზონს მიემგზავრება სამეცნიერო კომისია უსპენსკის ხელმძღვანელობით იგი შეიმუშავებს ტრაპიზონის სიძველეთა მოვლა პატრონობის გეგმას.

— მოსკოვის გაზეთების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტრო კავკასიისთვის სათემო და აგრეთვე საოლქო ერობას უარჰყოფს სამინისტრო საჭიროდ სცნობს შემოიღოს უწოდებრივო ერობა ნაციონალ კურიებით ჩრდილო-დასავლეთის გუბერნიების მსგავსად

✦ სწავლა განათლების სამინისტრო ატყობინებს ცირკულიარით ქუთაისის გუბერნატორს შეატყობინოს, რა მდგომარეობაში იმყოფება 40,000 მ. სესხის საკითხი, რომელიც მიეცა ფოთის ქალაქის თვითმართველობას 1901 წელს.

✦ ოზურგეთის მაზრის უფროსი აცნობებს ქუთ. გუბერნატორს, რომ ხსენებულ მაზრაში სიმინდის დიდი ნაკლებობაა და საჭიროა საჩქაროთ სიმინდის მიწოდება მცხოვრებლებისათვის.

✦ ქარ. შორის წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქიათურის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს გახსნან ს. სკინდორში (შორ. მაზ.) უფასო წიგნსაცავ სამკითხველო არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე ადგილობრივ მცხოვრების ნიკოლოზ ფხალაძის პასუხისმგებლობით.

✦ გუშინწინ საღამოს მატარებლით თბილისიდან დაბრუნდა და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩი.

✦ ქ. ოზურგეთის მცხოვრებმა ქ-მა ბაბილინა ბიბურიშვილმა, ანნა ჰყონიამ და ეკატერინე დონაძემ, მარია ვასკრესენსკაიამ, დადუდა გოგიტიძემ და სხვათ, რიცხვით 11 ქალმა, შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს, დააარსონ ქ. ოზურგეთში ქალთა საზოგადოება „ზნეობა“.

✦ ქ. სოხუმის მცხოვრებმა ნიკ. თავდგირიძემ, პ. გელოვანმა, ვ. დადიანმა, ექ. ა. გრიგოლიამ, ნაფიცმა ვექილმა გ. მახარაძემ, პროვიზორმა ი. გეგელაშვილმა, ვაჭარმა ე. კაჭარავამ, რაჟ. შენგელიამ, ა. ჯულელმა და გ. თურქიამ შუამდგომლობა აღძრეს ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ დაამტკიცოს სოხუმის დრამატიული საზ. წესდება.

✦ ამ დღეებში ქუთ. ქართულ თეატრში შ. დ. კასრაძე წაიკითხავს ლექციას ქართველთ „ცისფერ ყანწებზე“.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნ. „სკოლა და ოჯახის“ მორიგი მე-3 №.

✦ ქ-ნ ე. ბ. ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში გასათავებელი წერითი გამოცდები უკვე დასრულდა. ზეპირი გამოცდები კი დაიწყება დღეს.

— ეს ოთხი დღეა ქუთაისში ცუდი ამინდებია, თითქმის განუწყვეტლივ წვიმს ამბობენ, ეს დიდათ დააზიანებს ვენახებსო.

✦ 10 მაისს ქალაქის სოჯახო კომისიამ შემდეგი ნიხრი დაადგინა პურზე: პირველი ხარისხის პურზე ხუთი შაური, მეორეზე-22 კაპ. და მესამეზე კი 1 აბაზი.

✦ 115 სათადარიგო ჯარის კაცთა უფროსი სთხოვს ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს მასში სანოვაგეზე არსებული ნიხრი.

✦ ხარკოვის ქართველთა სათვისტომო მოვალეთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ მათ ფული უნდა გამოაგზავნონ, შემდეგი მისამართით. Харьковъ, Мѣщанская ул. домъ 24 Студенту Василію Эгнаташвили.

✦ „მერანი“ რედაქციამ მიიღო გაზეთ „საქართველო“-ს პრემია „მერანი“. წიგნი ძვირფასად და საუცხოვოდ არის გამოცემული, ყოველი მოთხრობა თუ პოემა და სურათებულია სპეციალურად ქართველ ახალგაზდა მხატვრის ვალ. სიდამონ ერისთავის მიერ. ასეთი გამოცემა ჩვენში იშვიათია. გამოცემაში მონაწილეობას ღებულობენ: სანდრო შანშიაშვილი (მას დაბეჭდილი აქვს საყურადღებო პოემა „ბერდო ზმანია“ და ლექსები) კ. მაყაშვილი, ინ-ბანი, შიო მღვიმელი, ი. გრიშაშვილი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, დ. კასრაძე, ალ. ყაზბეგი (ჯერ დაუბეჭდავი მოთხრობა) ტრ. რამიშვილი და დ. არაყიშვილი.

ვეგებებით რა სიამოვნებით ამ ძვირფას გამოცემას, ამ დღეებში ვეცდებით მასში მოთავსებულ ნაწარმოებთა განხილვა-დაფასებას.

✦ ლევაშოვის ქუჩაზე ქვარიანების მახლობლათ ქუჩაზე გავლა ყოვლად შეუძლებელია, განსაკუთრებით დიდი წვიმების დროს. როგორც ვიცით, ამ გზის მოკირწყვლა ქალაქის გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, მაგრამ ჯერ ჯერობით არაფერი გაკეთებულა

✦ ჩვენი მეპურეების თავგასულობას საზღვარი არ აქვს. რაკი „შეეჩვიენ ძვირათ ნაყიდ ფქვილის დროს ოყა პურს 27 კაპიკათ გაყიდვას, ახლაც ამ ნიხრის მიხედვით ყიდიან პურს საჭიროა ყურადღება.

✦ დაჯარიმება: ქუთაისის ვიცეგუბერნატორმა პოლკოვნიკმა ვენცელმა დააჯარიმა, იარაღის ნებადაურთველათ ტარებისათვის (ზუგ. მაზ.) ს. ხორგას მცხ. ჰ. აბრამია და ვარლამ ჯაბავა 15 მან. ან 7 დღის დატუსაღებით. დ. ზუგდიდის მცხ. სამსონ მილიქაშვილი [illegible] დამალვისათვის (ზუგ. მაზ.) ს. ხორგას მცხ. იროდიონ გვატუა და [illegible] სამ სამი თვის ციხეში დატუსაღებით; „მაქრის მეტ ფასში [illegible] (ქუთაისის მაზ.) ვაჭარი ილია გალუსტოვი 25 მან. ან 7 დღის დატუსაღებით ქ. ქუთაისის ყასაბი გიორგი და ბეგლარ ჯანგავა ხორცის მეტ ფასში გაყიდვისათვის ერთი კვირის დატუსაღებით.

✦ ქუთ. სანიტარულმა კომისიამ პოლიცმეისტერის თანდასწრებით უსუფთაობის გამო ოქმი შეუყენა ბალახვანის ქუჩაზე მც. მეპურე ოვანეზ ოსიპოვს, თბილისის ქუჩაზე სტ. ვაფიაძეს, ორპირის ქუჩაზე იაკობ ოსიპოვს და მწვანე ბაზარში მეფურნე ივანე ჩოროღვიანცს.

✦ სანიტარმა ი. ჩაჩანიძემ სხვადასხვა ხილეულობის წყალის ქარხნებიდან გასაშინჯათ წარადგინა ნიმუშები ქალაქის ლაბორატორიაში

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუყენა პურის ნიხრს ზევით გაყიდვისათვის ფერმის ქუჩაზე მეპურეს ისაკ ტოპულოვს და მესხეთის ქუჩაზე მიხეილ ნიკოლაძეს ხორცის მეტ ფასში გაყიდვისათვის.

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ გუშინ ორპირის ქუჩაზე გალაქტიონ ავალიანს დაკარგვია ქუთ. მეორე უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის დასრულების მოწმობა და წლოვანებისა მპოვნელს სთხოვს გადმოსცეს გაზ. „სამშობლოს“ რედაქციას.

# მევენახეთა საყურადღებოთ.

რადგანაც ამ ჟამად ვენახის საწამლებელი მასალები ძალიან ძვირად იყიდება და ხშირად აწვდიან მევენახეთ ისეთ წამალს, რომელშიც ურევია მარილი, რკინის შაბიამანი სიმინდის ფქვილი და სხვადასხ, გარდა იმისა, რომ ეს მოტყუებაა, ასეთი წამალი ძლიერ ვნებს ვაზს და სამუდამოთ აფუჭებს, მევენახეთა საყურადღებოთ ვაცხადებ შემდეგს:

თუ მევენახეთ სურთ მიიღონ წმინდა ქიმიური მასალები, რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში, ვურჩევ მიმართონ მოსკოვის ფირმას, საიდანაც შეუძლიათ გამოიწერონ ფოსტით, ფრანკო-ქუთაისით:

შაბიამანი გირვანქა 1 მ. და შვიდ შაურათ — ფუთი 50 მან. გოგირდი - გირ. 1 მ და ხუთ შაურად, ფუთი — 46 მან. და მწვანეულობისაგან გაკეთებული პარიზული ფხვნილი გირ. 2 მ. და 10 შაურად, ფუთი 100 მ.

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ფრანგული ფხვნილი თამამათ შეიძლება ვიხმაროთ შაბიამნის მაგივრათ. ეს წამალი იხმარება კირის გაურევლად 14 ლოტი თითო ფუთ წყალზე. ეს ზომა უდრის 26—28 ლოტ შაბიამანს ერთ ფუთ წყალზე.

იმ პირთ, რომელთაც სურთ „მიღდი-

---

## ლიტერატურული მეფუჩანოების პირველი მერცხლები.*)

**ეკატერინე შენგელაიასას**

ღრმა და წრფელი პატივის ცემით ვუძღვნი ამ წერილს.

„ცისფერი ყანწები“ ლოღიკური დასკვნაა იმ იდეურ ამჩატებისა, რომელიც ჩვენს მხატვრულ მწერლობას ამ ბოლო ხანებში დაეტყო.

თუ ჩვენს პოეზიას ფორმის მხრით წარმატება ემჩნევა, შინაარსის მხრით ის ძლიერ სუსტობს. ეს ისეთი აშკარა ფაქტია, რომ შეუძლებელია მას გვერდი ავუაროთ. ჩვენ კი გვგონია, რომ იდეური სიმკვრივის უქონლობა ჩვენი თანდაყოლილი ეროვნული თვისება არ არის. ამას მოწმობენ უკვდავი შოთა და სხვები. ამიტომ ჩვენი ბელეტრისტიკის დაქუცმაცება და პოეზიაში უშინაარსობის გამეფება დიდ უარყოფით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ლიტერატურული კრიტიკა ვალდებულია ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ, თუ კი მას სურს ეროვნული კულტურის წინაშე თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

ფორმა ყველაფერია, აზრი შინაარსის არაფერიო, ამბობდენ თ. გოტიე, თ. დებანვილი და სხვ. და თუ ჩვენში თეორეტიულად ამ აზრს ბევრი უარყოფდა, პრაქტიკულად, სინამდვილეში კი ეს აზრი თანდათან ფეხს იკიდებდა. ეს საკმაოდ სჩანს გრიშაშვილისა, შანშიაშვილისა და მრავალ სხვათა პოეზიაში. სიმბოლიზმი ფორმას აღმერთებს, მაშასადამე, ამ მხრივ ის არც ისე უცხო ხილია ჩვენს პოეზიაში, როგორც ეს შეიძლება ზოგიერთს ეგონოს.

„ცისფერი ყანწები“ ღვიძლი შვილია ჩვენი მსუბუქი პოეზიისა, მას ჩვენ მხარს ვერ დავუჭერთ და ვერც სიჩუმით ვუპასუხებთ და — აი რატომ: ყოველს ჭეშმარიტ ხელოვნურ ნაწარმოებში უნდა ფეთქდეს ღვთიური ცეცხლი გენიალური შემოქმედებისა. შემოქმედი, რომელმაც უშინაარსობა პრინციპად გაიხადა, უკვე მოკვდა!.. მან თვით უარჰყო უკვდავება, რადგან უკვდავი მხოლოდ სულის სისპეტაკე და სიღრმეა!..

ჩვენი აზრი მხატვრულ მწერლობაზე რომ უფრო მკაფიოდ გამოვსთქვათ, მივმართავ შედარებას. ავიღოთ სიმღერა და სიტყვა. მომღერლისაგან არავინ მოითხოვს, რომ ის ფილოსოფოსი იყოს.

რათა? იმიტომ, რომ სიმღერის მთავარი დანიშნულებაა—დაატკბოს სმენა, იმოქმედოს გრძნობაზე და შემდეგ კი გონებაზე. საერთოდ რომ ვსთქვათ, სიმღერის მთავარი დანიშნულება არ არის იმოქმედოს გონებაზე. ამიტომაც ბევრია სიმღერა სრულიად უაზრო და, წარმოიდგინეთ, უსიტყვოც კი, რომელიც კარგათ შესრულებული მსმენელზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. სულ სხვაა სიტყვა. ის სოციალური ერთობის უდიდესი იარაღია. სიტყვის მთავარი დანიშნულებაა—აზრის გადმოცემა, გონებაზე მოქმედება. თვით მხატვრული ფორმა უმთავრესად მით არის მნიშვნელოვანი, რომ მძაფრი განცდანი უფრო მკაფიოდ გამოვხატოთ. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც სიტყვის მთავარი ასპარეზი ცნობათა სამეფოა. სიმღერა, რომელიც სმენას ატკბობს და გრძნობა-გონებას ზეაღიტაცებს — იდეალურია. ისეთივე იდეალურია მშვენიერი სიტყვა-აზრი მშვენიერ ფორმაში ჩამოსხმული. ამიტომაც მოითხოვენ მწერლისაგან ფორმისა და შინაარსის სრულ ჰარმონიას......

ვიცით, გვეტყვიან: ღრმა აზრი, მშვენიერი ფორმა კარგია, მაგრამ ორივე ერთად ძნელიაო. დიაღ, ძნელია, მაგრამ ბრძანეთ, თვით მწერლობა—კი ადვილია!?

ჭეშმარიტი მწერლისაგან ჩვენ სწორეთ იმას მოვითხოვთ, რაც ძნელია, თორემ ადვილი ყველასათვის ადვილია!

დიდი მწერლები—გიოტე, შილლერი, შექსპირი, შოთა დასტოევსკი, ტოლსტოი-დიდი ფილოსოფოსებიც იყვნენ! ამიტომაც დასტოვეს მათ ღრმა კვალი. ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ღარგი ფილოსოფიისა სხვაა და ღარგი პოეზიისა კიდევ სხვა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმათ, ვისაც პოეზიისა და ფილოსოფიის შორის არსებული მანძილი გაუვალ უფსკრულად მიაჩნიათ, იმათ, ვინც მათ დაახლოვებას მავნებლად აცხადებენ..

საღი აზრი, თუნდ უხეიროდ გამოთქმული, შინაარსიან პროზას მაინც მოგვცემს, ხოლო თუ მწერალი მარტო საოცარ სიტყვებს ეძებს, ხელში შეგვრჩება მხოლოდ ქაღბატონი რასარუხი.

ვინც მარტო ფორმას თაყვანსა სცემს, ის მხატვრული სახლის აშენებას ზევიდან იწყებს...

ვიტყვით მეტსაც, მწერალი, რომელიც ამბობს: აზრი არაფერია, ფორმა ყველაფერიაო, არსებითად უარჰყოფს პოეზიას, რადგან ამ შემთხვევაში პოეზია უბრალო გასართობ საგნად იქცევა!

მწერალი, რომელიც თავის მთავარ აზრებს და ტიპებს წლობით გულში არ ატარებს, — მწერალი არ არის — აი, ჩვენი ღრმა რწმენა

* *
*

სანამ „ცისფერ ყანწებზე“ პირდაპირ გადავიდოდე, ორიოდე სიტყვით მსურს შევეხო ცნობილ მგოსნებს ბოდლერს და გვერდენს, რომელთაც „ცისფერი ყანწების“ „პირველ თქმა“ „ღვთ ძმებს“ უწოდებს.

თქვენს წინაშე ბობოქრობს ზღვა ოკეანე.

შორს, შორს მოისმის ზვირთთა ხმაურობა.

უსულდგმულო დევ-გმირი ლამობს ამოვარდეს და თავის უძირო მკერდში მაგრა, მაგრა ჩაიხუტოს მთელი არე-მარე. აგერ კიდეც ეხეთქა ნაპირს ტალღა მეორე, მესამე... იქით ზვირთმა გააპო ბუმბერაზი კლდე, ეს მესაიდუმლე და ერთგული დარაჯი ზღვისა; ზვირთთა მთელი კრება მიაქანებს მას, ძლეულსა და ახალი მდგომარეობით ჩაფიქრებულს... მიაქანებს შორს, მაგრამ უჰ!... ვიღაც ჩავარდა ოკეანეში...

დაიწყო პირველი მედგარი იერიში ულმობელ ტალღათა: ერთი კვლავ ნაპირისაკენ ეპატიჟება ამაყ სტუმარს, რომელსაც თავი აქაც მსოფლიოს მეფე ჰგონია!.. მეორე, მესამე ტალღას სურს სტუმარი იგი მალე მოაშოროს იქაურობას, სურს თვალწინ გადუშალოს ახალ მეგობარს თვალუწვდენელი სამეფო თვისი. მეოცე, მეასე ტალღა მას მედგრად ძირს ეპატიჟება. აი, ჩაიძირა კიდეც საცოდავი, იხრჩობა!.. მაგრამ არა!... მან კვლავ ამოყო თავი: ხედავთ, როგორ აფოთიალებს ხელებს და ფეხებს?! ხედავთ, როგორ სწყურია მას მზის სხივები?! მიხვდით, რარიგ ტოკავს მისი გული, რა ტიტანური ნდომა აქვს მას უფსკრულს თავი დააღწიოს?!...

მაგრამ ამაოდ: ძლიერია ტალღა ზღვისა, ულმობელია უფსკრული ცხოვრებისა!... და ჩაიძირა ადამიანი. ჩაიძირა სამუდამოთ. ვერ ამოვა, ვერა!...

ოკეანეს მაგიერ თქვენ წარმოიდგინეთ უზარმაზარი ქალაქის სწრაფი და რთული ცხოვრება, უფსკრულისაკენ მიმავალს ხელში მიეცით მგოსნის კალამი და თქვენ მიიღებთ ბოდლერს*) ის სწორედ რომ „ღვთია“, სანამ იქ—ცხოვრების ძირში — ბოროტების ყვავილებს კრეფს და სიმთვრალეს უგალობს, მაგრამ ის, სადაც არის, გონს მოვა: მას კვლავ დაუბრუნდება ნათელი წუთები და მაშინ თქვენ მოისმენთ ჯადოსნურ ლექსებს, ღრმა და წრფელი ლირიზმით ის შეგირიგებთ თქვენ, სული მისი აღსდგება მკვდრეთით, მაგრამ... ცოტახნით!

„პარალელურად“, როგორც ვერლენი იტყვის, მგოსანი ძველ ღმერთებს კვლავ დაუბრუნდება, აქ კვლავ დაიწყება ჰიმნი ბოროტებისა და ასე ბოლომდის.

* *
*

პეჩორინი ამბობდა: ჩემში ორი არსებაა: ერთი ცხოვრობს სრული ცხოვრებით, მეორე კი აზროვნებს და პირველის მოქმედებას მსჯავრს სდებსო. აი, ეს პეჩორინი, „ზედმეტი ხალხის“ ერთერთი წარმომადგენელი დასავლეთისაკენ დაიძრა. მან ხელში აიღო მგოსნის ქნარი, ფართოდ გაშალა თვისი ორარსებიანი ბუნება და იშვა... პოეტი ვერლენი!...

გაუმარჯოს სილამაზეს, გაუმარჯოს სიმშვენიერესო, ღაღადებს პოეტი და ამავე დროს ფრიად სერიოზულად და წრფელად იტყვის: „დაე, ღორმაც ილაპარაკოსო!“ შემდეგ ისევ იწყება მოჯადოებული წრე ბოდლერის ცხოვრებისა და შემოქმედებისა!

„დაე, ღორმაც ილაპარაკოს!“ ვიტყვით ჩვენც, თუ კი ეს ლაპარაკი დაგვანახებს, როგორც გოგოლი იტყოდა „всю пошлость пошлаго человѣка“, მაგრამ თუ ღორის ცხოვრება ზნეობას საერთო და დადებით ნორმად აქცევენ და მის ყოფნის აზრად აღიარებენ, მაშინ მთელი ჩვენი არ-

*) სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ მოსწრებულ შენიშვნებს, მით უმეტეს, რომ ჩვენებური ფუტურისტები თავის ორგანოსაც კი აარსებენ. რედ.

*) იხ. ბოდლერის „Цвѣты зла“ აგრეთვე Жоржъ Пелисье „Литератур. движ. въ XIX стол.“

ეს" და მავნე მწერების (განსაკუთრებით **ჟოლშილის** ვაზის ჭია და პეპელა) წინააღმდეგ წამლობა, მე შემიძლია დავუთმო რამდენიმე რაოდენობა **ტრინიდეპის** და **პი-იდინის** ფხვნილისა; ორივეს ზომა მარებისა შემდეგია: 1 მისხალი ერთ ჩუთ წყალზე ღირს 1 მ და 3 აბაზად.

3 ტიებო.

ქუთაისი კლო-ქგურული — კახიანოური.

# ალანდიის კუნძულები.

ეს ერთი ხანია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში დიდ ყურადღებას იპყრობს ალანდიის კუნძულების საკითხი და მისგან გამოწვეული უთანხმოება შვეციასთან. ეს საკითხი, თუ უთანხმოება ამ გვარად აღმოცენდა:

ფინლანდიის დაპყრობის შემდეგ ალანდიის კუნძულებს სიუმენსს, ფემრნსა და სხვებს რუსეთი დაეუფლა, რომელ დაუფლებასაც იმ თავიდანვე ცუდის თვალით შეხედეს ინგლის-საფრანგეთის მთავრობებმა.

ამიტომაც იყო 1855 წ. ყირიმის ომში ოსმალეთის მოკავშირე ინგლის-საფრანგეთმა რუსეთის მიერ აღებული სიმაგრეები ალანდიის კუნძულებზე თავის ესკადრებს დაანგრევიეს, ამ დღიდან რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ ხელი აიღო ალანდიის კუნძულების გამაგრებაზე (პარიზის 1855 წ. საზავო ხელშეკრულება).

დღეს კი რუსეთმა ხელშეკრულება დაარღვია და ალანდიის კუნძულების გამაგრებას კვლავ შეუდგა. ამ გამაგრებას იგი ხსნის გერმანელების წყალ-ქვეშა ნავების ასალაგმავ ხერხად.

ასეთი ლაკონიური განმარტება ვერაფრად ეჭაშნიკათ შვეციის აქტივისტებს და ეს არც გასაკვირალი იყო. შვეცია, რომელიც ისტორიული მტერია რუსეთისა და რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუნელებია ფინლანდიის დაკარგვა, ამ ომში, რა თქმა უნდა, სცდილობს თავის ისტორიულ მტერს სამაგიერო გადაუხადოს და ამ შემთხვევაში იგი არა თუ ალანდიის კუნძულების გამაგრების ნებას არ მისცემს რუსებს, არამედ ეცდება ალანდიის კუნძულები თვითონვე მიისაკუთროს.

რუსეთის მიერ ალანდიის კუნძულების გამაგრებას ვერც ინგლის-საფრანგეთი შეხვდებოდა გულგრილად, მაგრამ რას იზავენ, როცა დღეს ისინი რუსეთის მოკავშირენი არიან და მასთან ერთად სისხლსა ღვრიან, რის გამოც იძულებული არიან ჩუმად იყვნენ.

ასეთია მოკლეთ ალანდიის კუნძულების საკითხი და მის გამოისობით აღმოცენებული საგარეო უთანხმოება, რომელმაც საკმაოდ ჩააფიქრა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მესვეურნი, რომელნიც სცდილობენ შვეცია სხვადასხვა ტკბილი სიტყვით დაიყოლიონ.

თუ რა შედეგი მოყვება ალანდიის კუნძულების გამაგრებასა და მის გარშემო ატეხილ უთანხმოებას, ამას მომავალი დაგვანახებს.

ირ—დი.

# მოსწავლეთა საყურადღებოდ*)

## II

გაზაფხული დიდი ხანია დადგა, კიდევ თუთხმეტიოდე დღე და მოსწავლეებს საზაფხულოდ დაითხოვენ. ყველანი ქალაქს მოშორდებიან და მიაშურებენ აგარაკებს და სოფლებს.

სამწუხაროდ ბევრს მოსწავლეს ჯერჯერობით სავსებით ვერ შეუგნია თავისი ძალა და დანიშნულება, ბევრს ჯერ კარგათ არ ესმის, რა უნდა გააკეთოს მან და რისი გაკეთება შეუძლია. მოსწავლეთა უმრავლესობა გაურბის სოფელს, ისინი აუტანელ სიცხეში ქალაქის ქუჩების ტკეპნას არჩევენ სოფლად ყოფნას და იქ მოღვაწეობას, სადაც ისინი საჭირონი არიან და სადაც მათი ყოფნა დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენს დაბეჩავებულ გლეხობას, თუ კი რასაკვირველია მცირედ შრომას არ დაიზარებენ.

დღეს სოფელი უვიცობის წყვდიადში იხრჩობა, საჭიროა შეგნებული მუშაკი, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხობის გათვითცნობიერებას. ასეთ პირებს მუდამ საჭიროებდა ჩვენი სოფელი, მით უმეტეს ეხლა, როდესაც საერთაშორისო ომის ქარცეცხლმა ყველაფერს თავისი დაღი დაასვა.

მუშა ხელი სოფლიდან გაიყვანეს. სოფელი დაცალიერდა, თუ სადმე სოფელში ორიოდე ინტელიგენტი იყო, ისინიც ჯარში გაიწვიეს, რათა საერთო სამშობლო შემოსეულ მტრებისაგან დაიცვან. ერთი თაობა ბრძოლის ველზე იმყოფება, ბევრმა მათგანმა კიდეც დალია სული უცხო ქვეყანაში და თავისი ვალი მოიხადა.

ამ რიგად, სოფელს აღარ ჰყავს უფრო მომწიფებული თაობა, მაგრამ ჩვენ გვყავს მეორე თაობა იგი ხელუხლებელია, რადგანაც ჯერჯერობით ჯარში არ გაუწვევიათ. აი, სწორეთ ამ თაობის მოვალეობაა ჯარში მყოფ ჩვენ თანამოძმეთა ადგილი დაიკავონ და სოფელს დანაკლისი აუნაზღაურონ. ამათ უნდა გაუწიონ სოფელს დახმარება და ნამდვილი შვილობა.

მოსწავლე ახალგაზდობამ უნდა იცოდეს კარგად რომ, „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემგსავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

მაშასადამე საჭიროა მოსწავლემ დაჩქარებით მიაშუროს სოფელს. პირველ ყოვლისა საჭიროა მოსწავლეები დაუახლოვდენ გლეხებს, გაიგონ მათი სულის—კვეთება და მათი ნდობა მოიპოვონ, რადგანაც გლეხები, საზოგადოდ, ეჭვის თვალითა და უნდობლათ უყურებენ ინტელიგენციას.

საჭიროა აგრეთვე მოსწავლე ახალგაზდობამ გლეხს სწავლის წყურვილი გაუღვიძოს და აუხსნას მისი მნიშვნელობა. (თითოეულმა მოსწავლემ რომ ერთს გლეხს წერა კითხვა ასწავლოს, ესეც დიდი საქმე იქნება და ჩვენს მდგომარეობას ბევრად წინ წასწევს). ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მოსწავლე მიქელის აზრს, რომელიც მან ამ რამოდენიმე დღის წინათ „სახალხო ფურცელში" გამოსთქვა (სამწუხაროთ ის ნუმერი ეხლა ხელთ არ მაქვს) ავტორი ამბობს. რომ მოსწავლეები მშობლებს უნდა მოეხმარონ მუშაობაშიო", ჩვენ ეს აზრი შემცდარად მიგვაჩნია, რადგანაც ვფიქრობთ (და დარწმუნებული ვართ კიდეც) რომ ჩვენ მოსწავლე ახალგაზდობას ფიზიკური მუშაობა არ შეუძლია, იგი ხალხს თავის გონებრივი მუშაობით მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ფიზიკურით, რადგანაც მოსწავლეს საამისო ძალღონე არ შესწევს.

სოფლად, მიუხედავათ ეკონომიური დაქვეითებისა, ძალიან გახშირებულია „ჩვეულებრივი ტირილი", რომელიც ვალში აგდებს ისედაც გაძვალტყავებულ გლეხს და ჩარჩ—ვაჭრების მსხვერპლად ხდის მას. მოსწავლემ უნდა აუხსნას ხალხს ამ ჩვეულების მავნებლობა. უნდა აუხსნას ლოთობის და „კარტ—ნარდის" თამაშის მავნებლობა და სხვა. მოსწავლე ვალდებულია ხელი შეუწყოს სოფლათ კოოპერატიულ მოძრაობას და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების არსებობას. სადაც არ არის იქ თაოსნობა უნდა გასწიოს და დაარსებას ხელი შეუწყოს.

გლეხს ძალიან აინტერესებს ომის ამბები, აქაც მოსწავლემ უნდა გაუწიოს გლეხს დახმარება და გაზეთები წაუკითხოს. კარგია წარმოდგენებს გამართავდეს, ესეც დიდათ ხელს შეუწყობს ჩვენი სოფლის გათვითცნობიერებას.

როგორც ვხედავთ, საქმე მეტათ რთულია და მოწაფისგან იგი შესაფერს შრომას მოითხოვს, მაგრამ ამასთანავე ცხადია, რომ ამა თუ იმ სოფლის მოღვაწე—მოსწავლემ თუ თითონვე მიჰყო ხელი ლოთობას და კარტ ნარდის თამაშს (როგორც ეს სჩვევიათ ზოგიერთ ჩვენს მოსწავლეებს) იგი ვერ გამოდგება ხალხის მასწავლებლად და ხალხი არ დაუჯერებდა მას, ამისთვის საჭიროა მოსწავლის ყოველი ნაბიჯი წინდაწინ გაზომილი იყოს, რომ ამით დაწყებულმა საქმემ არ იზარალოს და მოსწავლემ ხალხის წინაშე სახელი არ გაიტეხოს.

მოვუწოდებთ ამხანაგ—მოსწავლეებს თავი დაანებონ ფუფქსავატ ცხოვრებას, წავიდენ სოფლად და იქ იმუშაონ ჩვენი ერის საკეთილდღეოდ. დღეს სოფელი გასაჭირშია, იგი ჩვენგან მოელის მხსნელს და მანუგეშებელს და თუ ჩვენ მათი იმედები არ გავამართლებთ, მათ იმედებს ეს დიდი დანაშაული იქნება ჩვენთვის. ამით ჩვენ საერთო საყვედურს დავიმსახურებთ და მომავალი თაობა არასოდეს არ გვაპატიებს ასეთ დანაშაულს.

მაშ, შევერთდეთ ერთის მიზნით ერთი იდეალით და მაშინ სანეტარო მომავალიც ჩვენი იქნება.

ილია ზანისპირელი.

*) სიამოვნებით ვბეჭდავთ ამ გულწრფელ მოწოდებას კარგს ნებებენ ჩვენი მასწ:ვლებელიც დათხოვნის წინ დაარიგებდენ თავის მოსწავლეებს. **რედ.**

# რუსეთი.

პეტროგრადში თავი მოიკლა კამერიუნკერის ბელბასოვის ქალმა.

—

გუბერნატორების პირველი რიგის თათბირი უკვე დასრულდა აწი მოიწვევენ მეორე რიგის თათბირს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ კავკასიის გუბერნატორებიც.

—

კერძო სასწავლებლების მიმართ ახალი კანონი გამოიცა.

—

შტიურმერის განცხადებით, მინისტრთა საბჭო, რომელშიც ხუთი მინისტრი შედის, მალე გაუქმდებაო.

—

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო ამ დღეებში შეუდგება ალანდიის კუნძულების საკითხის განხილვას.

—

შტიურმერს სადარბაზოდ მიუღია ფინლანდიის სეიმის თავჯდომარე.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუწყვეტია აკრძალოს ყოვნლგვარი ყრილობა და სხვადასხვა საორგანიზაციო თათბირები

—

რუსეთის ოლქის სასამართლომ გაარჩია 12 პოლონელის საქმე, რომელთაც ომის დაწყებისას პოლონეთი დამოუკიდებლად გამოაცხადეს.

—

მოსკოვში დაარსდა სრულ უფლებიანი ქალთა უმაღლესი კურსები.

—

უმაღლესი მთავრობის განკარგულებით, არსდება სამოსწავლო საქმეთა სამეთვალყურო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ განათლების მინისტრი და სამოსწავლო ოლქის მზრუნველი.

# შეკითხვა.

### გაზ. „მეგობრის" რედაქციას.

თქვენი გაზეთის 121 № ში, 28 თებერვლის თარიღით, მოთავსებულ იყო ცნობა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სასწავლებელთა მეორე რაიონის ინსპექტორის ბ ნი მუხინის ვითომდა უსამართლო მოქმედების შესახებ. ეს ცნობა გადაბეჭდეს ტფილისის გაზეთებმაც. შემდეგ თქვენივე გაზეთ „ჩვენი მეგობრის" მე-11 № ში ,12 მარტის თარიღით, დაიბეჭდა „მორიგეს" წერილი **„სახალხო შკოლების მბრძანებელი"** და თქვენი მეთურიც **„ახალი ხელშეკრულობა"** ,რომლებშიაც ბ ნ მუხინის წინააღმდეგ წამოყენებული იყო სხვა და სხვა ბრალდება. თვითონ ინსპექტორის თხოვნით რედაქციამ გაგზავნა თავისი თანამშრომელი სერგო გერსამია, რომელსაც ინსპექტორმა გადმოუშალა ინსპექციის საქმეები და სხვა და სხვა დოკუმენტით დაუმტკიცა, თუ ვისი წყალობით, როგორი სარჩული უდევს ამ ბრალდებებს. ინსპექტორთან საუბარი და იმისი გამართლებული საბუთების სინჯვა გაგრძელდა თითქმის სამ საათს და სერგო გერსამია დაბრუნდა დაკმაყოფილებული. მას შემდეგ გადის ერთი თვე და არც ბ ნ გერსამიას და არც რედაქციას ხმა არ ამოუღია მუხინის შესახებ. ვერ გაგვიგია, რა მიზანი ჰქონდა რედაქციის მიერ კაცის გაგზავნას ინსპექტორთან თუ ყოველივე საიდუმლოებას მისცემდენ! მეტად საჭირო... რედაქციას ყოველივე აღენიშნა თავის გაზეთის ფურცლებზე, რათა დაინტერესებულ მკითხველებს გაეგო, რამდენად მართალი იყო გაზ „მეგობარში" მოთავსებული ბრალდებანი ბ-ნი . მუხინის შესახებ. თუ რედაქცია დარწმუნდა იმის უდანაშაულობაში, პირდაპირ ზნეობრივად ვალდებული იყო აღენიშნა ყოველივე რაც ნახა და გამოარკვია მასთან კაცის გაგზავნით და გამოძიებით. ეს იქნებოდა რედაქციის მიერ გალანძღული და უდანაშაულო ადამიანის გამართლება და ერთგვარი ბოდიშის მოხდა. მაგრამ აქ არ შეგვიძლია ეჭვი არ ავიღოთ, ნათლიმამობას ხომ არა აქვს ადგილი?!...

ველით პასუხს.

ქუთაისელი მასწავლებელი

# ერობა ჩვენში.

### 4 მაისი.

(გაგრძელება)

ნ. ყ. თავდგირიძე. არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, თითქოს საერობო ერთეულებისთვის პროპორციონალი პრინციპების მიღება საჭირო იყო. ორატორის აზრით არ არის სასურველი, რომ წარმომადგენლობას ირჩევენ არა მათი საქმიანობის მიხედვით, არამედ იმიტომ, რომ, რომელიმე ეროვნებას ეკუთვნის. უმცირესობის და უმრავლესობის საკითხი ამ შემთხვევაშიაც გადაუჭრელი დარჩება და ერობის მუშაობა კი შეფერხდება. ასეთი ხელოვნური საშუალებით არ შეიძლება უმცირესობის უფლება დაიცვა და ეს უკვე ეხლა ყველასთვის აშკარაა და ამ პრინციპის განხორციელება ასეთს შემთხვევაში სრულებით არ მოითხოვებაო.

ს. ნ. ფახახიშვილი მოითხოვს განმარტებას, როგორ გატარდება ეს პრინციპი ამომრჩეველთა სხვადასხვა კურიებში,—რის მიხედვით,—ქონების თუ მცხოვრებთა რაოდენობით.

ვართანიანცი. ამ პრინციპს მიუღებლად სცნობს. ოთხი ეროვნება კი არ აღმოჩნდება კავკასიაში ეს რომ მივიღოთ არამედ მარტო დაღესტანში ათი და თხუთმეტიო.

ა. შ. ნევეროვი (სამინისტროს წარმომადგენელი) ამცნობს კრებას, რომ ამ პრინციპს რუსეთის ერობა კიდევაც იცნობს, ის სტოლიპინმა პოლონეთის ერობაში გაატარაო. ამაზედ მას უპასუხებენ, რომ იქ პროპორციონალი ამომრჩევლობა არ იყო დაცული, ვინაიდან ეროვნებათა წარმომადგენლობის რიცხვს მთავრობა საზღვრავდაო.

ირეცკის წინადადება, რომ ეს პრინციპი შემოღებულ იქმნას ჩვენშიაც, როდესაც მას საერთო რუსეთის კანონმდებლობა აღიარებსო, მიღებულ იქნა ერთხმად.

კრება გადადის ხმოსანთა განაწილების საკითხზე სხვადასხვა მაზრებში და გუბერნიებში და ამის შესახებ ღებულობს ტობზიბაშევის წინადადებას, რომ ხმოსნების რიცხვი გამორკვეულ იქმნეს მაზრებში მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით.

IV სექცია. პირველი კრება ალი მარდან ბეგ ტობზიბაშევის თავმჯდომარეობით. 4 მაისს ამ სექციას მინდობილი აქვს საერობო ერთეულებიდან—სამაზრო და საგუბერნიო ერობებიდან, დიდი ქალაქების გამოყოფის საკითხი ცალკე სამაზრო თუ საგუბერნიო საერობო ერთეულის შესადგენად.

ა. ი. ხატისოვმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც განიხილა ქალაქების გამოყოფის სურვილს წარმოშობის და განვითარების ისტორია. ის მოვლენა, რომ დიდ ქალაქებს საერობო სალაროში შეაქვთ ხშირად მთელი სახსარი ნახევარი და ამავე დროს კი, დიდი ქალაქები სამაზრო ერობებში შედიან და მასში მთელი ხმოსნების მეხუთედ და მეექვსედ ნაწილს გზავნიან ორატორს დიდ უსამართლობად მიაჩნია. ის მხარს უჭერს რუსეთის დიდ ქალაქების მოთხოვნილებას და წინადადებას აძლევს კრებას დაადასტუროს ქ. თბილისის გამოყოფა თბილისის სამაზრო ერობისაგან, რომ მან საკუთარი სამაზრო

---

...სებით ჩვენ წინაღვუდგებით მეშჩანობის ასეთ აპოთეოზს!...

* *
*

აქ ბოდლერი ჩვენ იმიტომ მოვიხსენიეთ, რომ ის 1) მამამთავარია მგოსანთა მთელი რიგის,*) რომელიც ფორმის თაყვანის მცემელად გამოდის, ფორმის თაყვანის ცემა კი სიმბოლიზმის ერთი მთავარი თვისებაა. და 2) იმიტომ, რომ ბოდლერით, როგორც ია ეკალაძემ სწორედ შენიშნა, ჩვენში დღეს ბევრი ბოდავს!

თუ ჩვენი მწერლები მაინცდამაინც ბოდლერს წაბაძვენ, ჩვენი სურვილია მისგან ვისესხოთ და გადმოვიტანოთ მხოლოდ „მარგალიტები" და არა ორგია და უაზრობა!...

სიმბოლიზმმა ბევრი რამ საგულისხმო მოგვცა და თუ ჩვენი სიმბოლისტები თავის თავს ბოდლერისა და ვერლენის მიმდევრებათ აღიარებენ, ჩვენ გულწრფელად ვურჩევთ მათ თავის შემოქმედებიდან განდევნონ ერთხელ და სამუდამოთ ყოველგვარი ცინიზმი, ფუტურისტული და მისტიური ელემენტები. მათ უნდა უკუაგდონ ფუქსავატობა და ზერელობა და მხოლოდ მაშინ შეიძლება სიმბოლიზმმა ჩვენს მწერლობას დადებითი რამე შემატოს.

* *
*

თუ ყველაფერს იქით მისცემ— საყვარელი იქნები. თუ არაფერს მოსთხოვ— საქები იქნები,—აი, დაფასების საზომი და მთელი ფსიქოლოგია მეშჩანობისა!

ამიტომ მეშჩანი სასტიკ ომს უცხადებს ყველაფერს, რაც კი მის პირად გემოვნებას ეწინააღმდეგება.

მოვალეობა, ვალდებულობა, საზოგადო ნორმა, პრინციპი მას სასაცილოთ არ ყოფნის. ცეცხლი ყველაფერს, რაც კი ვიწრო ეგოიზმს არ ემსახურება,—აი სამოქმედო პროგრამა მეშჩანობისა!

სწორეთ ასეთი მეშჩანური სულითაა გაჟღენთილი „ცისფერ ყანწების" „პირველთქმა" და ზოგიერთი ლექსიც..

რასკოლნიკოვი ამბობდა: „Просто на просто взять все за хвостъ и къ чорту". ასევე იქცევა „პირველთქმის" ავტორიც, როდესაც ცეცხლს უკიდებს ყველაფერს, რაც კი წარსულმა გაადიდა, როდესაც ის წარსულის „მარგალიტებს" დავიწყების ზღვაში ყრის!.

* *
*

შევეხოთ უფრო ახლო „ცისფერი ყანწების" მასალას. „პირველთქმა", ლექსები გრ. რობაქიძისა, გრიშაშვილისა და ელენე დარიანისა, აი ყანწების მთელი კოლექცია, რომელიც მკითხველის ყურს ასე ეხოთირება და მას ამხედრებს. ამ ლექსების საერთო ხაზი არის პორნოგრაფია და რამდენიმედ სიმბოლისტური ხასიათი. კერძოთ:

გრიშაშვილის „სძინავს დედოფალს" მორიგი სასეზონო ნუმერია. თუ ის საზაფხულოდ თავის სატრფოს ტყეში პატიჟობდა (იხ. მისი „ღამე ტყეში"), ზამთარში, მოსალოდნელი იყო, ის ძილში თუ ცხადლივ აბანოსაკენ გასწევდა!..

საერთოდ ეს ნიჭიერი მგოსანი, ეტყობა, ცოტა წათამამდა, მას ცა ქუდათ მიაჩნია და გაიძახის:

რას მიქვია ხალხი, მილეთიო!

პატივცემულ მგოსანს, სამწუხაროთ, ავიწყდება, რომ ნამდვილი გენიოსები და ჭეშმარიტი იდეური მოღვაწენი ყოველთვის გაიძახოდენ: ჩვენ პატარა ხალხი ვართ ჩვენი ნიჭი და ცოდნა სად შეედრება იმ სიბრძნის ოკეანეს, რომელსაც მასის, ხალხის ცხოვრება და აზროვნება ჰქვიაო. მხოლოდ მეტიჩრები გვარწმუნებდენ:

„Я генiй Игорь Сѣверянинъ" და სხვა!

ლექსი „სძინავს დედოფალს" თვისი იდეიით ახმლს არას წარმოადგენს თვით მგოსნისათვისაც, ხოლო ფორმით სხვა მის ლექსებზე უფრო სუსტია!..

გრ. რობაქიძის „სირენის სიმღერას" და საერთოდ მის ლექსებს ეტყობა ნაძალადევი, დიდი ხელოვნური მუშაობა და არა ხელოვნის ანიჭი.

ის უფრო საინტერესოა, როგორც კრიტიკოსი. მას ყავს ერთი მქლე ჯორი, რომელსაც სახელად მისტიციზმი ჰქვია. კრიტიკოსი ამ ჯორს მოსვენებას არ აძლევს: მასზე ხან დამსახურებულ მწერლებს შეაჯენს, ხან-კი (უფრო ხშირად!) თვითონ შეჯდება. საჭიროებისამებრ ეს ჯორი „თეთრ რაშად" იქცევა. მაშინ მიქრის კრიტიკოსი და ეძებს, ეძებს. . იმას, „რაც ამ ქვეყნად არ არსებობს"! *)

„ელენე დარიანის" მდგომარეობა ფრიად საშიშია: მას ტემპერატურა ძლიერ აწეული აქვს. მისი ლიტერატურული აპოგეი უკვე გათავდა. მან წერა ბოლოდან დაიწყო. სულიერი საუნჯე ელენე დარიანს არ გააჩნია, ხოლო რაც მას, აქვს, იმასაც ვიღაც „თავადი ბატონობს!"

(დარიანის სიტყვებია იხ. მისი ლექსი „მეგობარში") ქალური მასში არაფერია; არც სინაზე, არც უმანკოება, მოკრძალება. ტლანქია!

ჩვენს პოეზიას ის ხეირიანს ვერაფერს შეჰმატებს: სულით ლატაკმა და ტანით შიშველმა ან რა უნდა მოგვცეს?!

ლ. ა. შენგელაია.

(დასასრული ხვალ).

*) იხ. П. Коганъ „Очерки по ист. европ. лит. ტ. II გვ. 247.

*) მისტიკური ქალის სიტყვებია იხ. З. Гиппiусъ „Пѣсня" (სიტყვები: „Мнѣ нужно то чего нѣтъ на свѣтѣ")

ერობა შეადგინოს.

ვ. ა. დემიდოვი კითხულობს მოხსენებას ამავე საკითხზე. ორატორი უსაფუძვლოდ და უსამართლოდ აღიარებს დიდი ქალაქების სურვილს ერობიდან გამოყოფის შესახებ, ვინაიდან თუ დიდი ქალაქები მეტ სახსარს აძლევენ ერობას, ვინემ სოფლელები, ეს იმიტომ, რომ მათ გზების გაყვანა, სანიტარია და მედიცინა და სხ. უპირველეს ყოვლისა ქალაქისთვის არის საჭირო და სასარგებლოო. ორატორი მოითხოვს, რომ თათბირმა დაადგინოს ქალაქის სამაზრო ერობაში დატოვება, როგორც ეს არის ყველა რუსეთის ერობებში სამიოდე მაგალითის გარდა.

ჰ. ა. გოთუა ვრცელ სიტყვაში იკვლევს საკითხს და ამტკიცებს, რომ ქალაქების სურვილი მიუღებელი და უკანონოაო. ორატორს გასაგებათ მიაჩნია, რომ მდიდარი ქალაქები გაურბიან ღარიბ სოფლებს და მასთან საერთო ხარჯის გაწევა აღარ უნდათ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალაქების კეთილდღეობა მის გარეშე სოფლებმა შექმნესო. ყველა საერობო ხარჯები, ორატორის აზრით, ერთნაირად სასარგებლოა, როგორც სოფლისთვის, ისე ქალაქისათვის. ამ უხილავი სარგებლობის გაზომვა შეუძლებელია და ქალაქების მტკიცება — ჩვენ ერობას ამდენ თანხას ვაძლევთო და სამაგიეროდ ერობა ჩვენ ძლიერ ცოტას გვიბრუნებსო, უსაფუძვლოა, რის შესახებ მას მოჰყავს ცნობილ ბ. ვესელოვსკის მოსაზრებები. ორატორი მოითხოვს თბილისის დატოვებას სამაზრო ერობაში.

გ. დ. ჟურული ეთანხმება ა. ი ხატისოვს და ამტკიცებს, რომ ქალაქების გამოყოფა ერობიდან სასარგებლო იქნება თვით მაზრებისთვისაო.

მიტკევიჩი და დოლუხანოვი მოითხოვენ თბილისის გამოყოფას.

მ. ვ. მაჩაბელი ვრცლად ეხება საკითხს და ამტკიცებს, რომ აქამომდე თბილისი სცხოვრებდა მაზრის ხარჯზე საერობო საქმეში და ყოველმხრივო. რუსეთის ქალაქების გამოყოფას იქნება დიდი საბუთებიც აქვსო, მაგრამ თბილისს არავითარიო. თბილისი აქამომდე, როგორც პარაზიტი სოფლის ხარჯზე სუქდება და მე არ მაკვირვებს, რომ ეხლა ის თავის წარმომადგენლების შემწეობით გაძვალტყავებულ სოფელს გაურბისო. ორატორი შეუძლებლად სცნობს თბილისის გამოყოფას მაზრიდან მაშინაც კი, თუ მას დაედება გადასახადი მაზრის სასარგებლო.

ხ. ა. ვერმიშევი ამტკიცებს თბილისს არაფერი არ ჰმართებს, არც მაზრის და არც გუბერნიისო. თვით მისგან დიდათ არის დავალებული გარშემო კუთხეებიო და სხ.

კრება 5 მაისისთვის გადაიდვა.

## დ. ქობულეთი,

ქობულეთი ბათუმიდან 24 ვერსის მანძილზეა. ეს პატარა დაბა, რომელშიაც მხოლოდ ერთი ქუჩაა და რომლის სიგძეც 8 ვერსს უდრის, განთქმულია სააგარაკო ადგილათ.

სახლები, სადაც მოაგარაკენი ცხოვრობენ, მშვენიერად მოწყობილია ავეჯეულობით და ყოველივე საჭირო ნივთებით ქობულეთის აგარაკის მოწყობილებას საზოგადოთ ვერავინ დაემდურება.

დაბაში-ფოსტაა, ტელეგრაფი, აფთიაქი, საავადმყოფო, როგორც ფასიანი, ისე უფასო, ექიმები, რამოდენიმე სკოლა, ბაზარი, სამკითხველო, ეტლები და სხვა.

ცუდი ტაროსის დროს არავითარი ტალახი არ შეგაწუხებს, რომელიც მოაგარაკეებს შელავათს აძლევს. იმ დროს როდესაც სხვაგან თითო კვირაობით ტალახის გამო გარეთ გამოსვლა არ შეიძლება, აქ ერთი საათის შემდეგ მიწა მშრალია

ნერვებიანი ავადმყოფისათვის ქობულეთზე უკეთეს ალაგს ვერ მოსძებნით, ყოველი მხრივ სიჩუმე, მშვენიერი ზღვის ჰაერი, მშვენიერი საბანაო და მასთან სიმშვიდე... სახლები ისე დაშორებულია ერთმანეთზე, რომ ერთი-მეორეს მოაგარაკენი ვერც კი ხედვენ; დაჯექი ზღვის პირას დასტკბი ჰაერით და მშვენიერებით. ქობულეთის საბანაოები განთქმულია მთელ შავ-ზღვაზე. ისეთი თბილი, სუფთა და წმინდა წყალი არსად არ არის.

რაც შეეხება ციებას, ექიმებმა უკვე შეამოწმეს, რომ ქობულეთში ყველაზე ნაკლებათ შეიძლება, რომ იქნეს ციება, რადგანაც ხშირად ზღვის ქარი ქრის, რომელიც ციების კოღოებს არ უყვარს.

სხვა აგარაკებთან შედარებით სახლები აქ უფრო იოლად იშოვება. ყველა აგარაკი ლამაზი და მოხდენილია, ყველა აგარაკს უეჭველად ბაღი აქვს, რომელიც შნოს აძლევს

რაც შეეხება შიშს, უკვე კარგი ხანია, რომ ამას აცილებული არიან. არავითარი შიში, ომის შესახებ არ არის. თავისუფლად და სრულიად უშიშრად შეუძლიათ მოაგარაკე ხალხს იცხოვრონ ქობულეთში.

თამარ მესხის - ასული.

## ფოთი.

ფოთის ქალებიც არ ჩამორჩენ ჩვენი დედაქალაქების ქალებს: მათაც გადასწყვიტეს ომისაგან დაზარალებულთა დახმარებაში მონაწილეობის მიღება და ამ მიზნით დაადგინეს „ფინჯანი ჩაის“ გახსნა. 30 აპრილიდან კიდეც შეუდგენ მოქმედებას. მათი მხურვალე მონაწილეობით იმავე მიზნით კინემატოგრაფის დარბაზში გამართულ იქნა ქართულ-რუსული წარმოდგენა. ქართულ პიესაში მონაწილეობის მისაღებათ მოიწვიეს მსახიობი ნემო სა ერთოდ წარმოდგენის მსვლელობამ გვიჩვენა, რომ მონაწილეთ წარმოდგენის სასურველად ჩატარებისათვის არ დაეზოგათ არც ენერგია და არც გულწრფელი შრომა.

წარმოდგენაში მათი თამაშისაგან გამოწვეულ თითქმის ერთ დეფექტსაც არ ჰქონდა ადგილი, რასაც აქაურ სცენაზე დიდი ხანია ვერ ვხედავთ. რუსულად თამაშს პოტაპენკოს „ბუნების წიაღში“. მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივი რუსული სცენის მოყვარეები. ისინი, როგორც ყოველთვის, ამ დღესაც კარგათ თამაშობდენ. საერთოდ ფოთის რუსულ სცენის მოყვარეეებზე უნდა ითქვას, რომ ისინი სასცენო ხელოვნებას შესაფერი პატივით ეკიდებიან; ამ მხრივ და ძალთა სიმდიდრითაც ისინი ფოთზე უფრო დიდ ქალაქსაც დაამშვენებდენ.

ქართულ ენაზე ითამაშეს ლომინაძის „გოგიას საცოლო“, ვოდევილი 3 მოქ. მონაწილეობას ღებულობდენ, მსახიობ ნემოს გარდა, ადგილობრივი სცენის მოყვარეები. ვოდევილი საერთოდ მხიარულად და თითქმის უნაკლოდ ჩატარდა; ასეთი შემთხვევა არც ისე ხშირია აქაურ სცენაზე და მონაწილენიც მადლობის ღირსნი არიან. როლები ასე იყო დანაწილებული: გოგია—ნემო, ბარბალე—ნ. ნარაკიძე, ნიკო—კ. ვაშალომიძე, მარკოზი—ვ. სარჯველაძე და მარკოზის ცოლი—თ. ჯიჯიაშვილის ასული.

ბ. ნემოს კარგათ იცნობენ მკითხველები ის ზოგიერთ კომიკურ როლში მართლაც რომ, შეუდარებელია.

ის გოგიას როლშიც მშვენიერი იყო ?, ჩვენის ფიქრით, უკეთესიც იქნებოდა, რომ ზოგიერთ ადგილას ძალზე არ აჭარბებდეს. ვოდევილში ყველამ, რომ მასსავით ითამაშოს, ვოდევილ-კომედიის ნაცვლად ახირებულ შარჟს მივიღებთ. ბარბალეს როლი ცოცხლად ჩაატარა ქ. ნ ნარაკიძის ასულმა. ის გამოცდილი და დაკვირვებული სცენის მოყვარე ქალია ? მას რომ უფრო ხშირად უხდებოდეს სცენაზე თამაში, იგი ზოგ ცნობილ მსახიობ ქალებსაც არ ჩამოუვარდებოდა.

მივაქცევთ მას ყურადღებას დიქციის დამუშავებაზე, რაც მას სწრაფად წასწევს წინ. თ. ჯიჯიაშვილის ასულიც ჩვეულებრივ უკეთ თამაშობდა. მას მარკოზის ცოლისებური როლები ეხერხება საერთოდ და კარგი იქნება მომავალში ასეთ როლებს აიღებდეს. ეს მისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება და სცენისათვისაც. ვ. სარჯველაძე (მარკოზი), თუ არ ვცდებით, პირველად გამოდის სცენაზე და მას, როგორრათაც ითამაშა, იმაზე მეტს ვერ მოვსთხოვთ. რაკი სხვა მოთამაშეები იცავდენ პიესის კილოს, უკეთესი იქნებოდა ის მასაც დაეცვა. კარგი იყო ვაშალომიძეც. ჩვენ „სამშობლოს“ ერთ ერთ ნომერში სხვათა შორის აღვნიშნეთ, რომ აქაურ სცენაზე ხშირად მახინჯდება პიესები-მეთქი ამ აზრის ვიყავით არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა ის, ვინც ფოთისთეატრთან ახლო სდგას, გარდა ვინმე „დასელი ქალისა“, რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ შავი თეთრად მოაჩვენა „თეატრი და ცხოვრების“ მკითხველებს და ცამდის აიყვანა ადგილობრივ სცენის მოყვარეები. ისეთ წმინდა საქმეში, როგორიც თეატრის მოქმედების განხილვაა, საჭიროა მეტი ობიექტივობა; წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია მას დათვური სამსახური გაუწიოთ. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ-სცენის მოყვარეთა პატიოსან თამაშს ამ წარმოდგენის დროს და ვუსურვებთ მათ მომავალშიც ამ გზით მსვლელობას.

მცირე შენიშვნა გამგეობას: ნუ თუ უკეთესი პიესის ამორჩევა არ შეიძლებოდა ამ საღამოსთვის?

წარმოდგენას თითქმის ინტერნაციონალური ხასიათი ჰქონდა, სხვა ტომის ხალხიც ბევრი იყო და ამ პიესის ზოგი ადგილები კი, სადაც რეალობა სრულიად განდევნილია, ცუდათ დაგვახასიათებდა ქართველებს მათ წინაშე. სამწუხაროდ პროვინციის თეატრების რეპერტუარს თითქმის ასეთი პიესები შეადგენენ, რადგანაც ისინი ადვილი სათამაშონი არიან. ამ გვარ პიესათა რიცხვი კი ათეულია...

სასურველია ბოლო მოეღოს ასეთ პიესების დადგმას იქ, სადაც თეატრი ეს-ეს არის ფეხს იდგამს.

წარმოდგენას რეჟისორის ხელი ეტყობოდა, ანტრაქტებიც ძველებურად საათობით არ გრძელდებოდა. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო, დარბაზი ძლივს იტევდა. სასურველია ასეთი მიზნითა და მომზადებით აქ ხშირად იმართებოდეს წარმოდგენები ეს ორგვარ სარგებლობას მოიტანს.

ა. ფანცელი.

## პროვინციის ცხოვრება.

**ს. ძირულა.** სოფლის მშრომელი ხალხის მდგომარეობა დღევანდელ დღეს ფრიად აუტანელია. დღეს, როდესაც სოფლელი უნდა მეტს დროს მუშაობაში ატარებდეს, რომ მომავალი ზამთრის სარჩო მაინც მოიყვანოს და მით ცოდვილი დააპუროს — ტვირთა უბრალოთ ჰკარგავს დროს ლუკმა პურის ძებნაში.

ყველამ უწყის, თუ რა სიმძიმეს სჯილებს სოფლად. ყველაფერი მამასისხლად ფასობს და ამავე დროს ვერც კი შოულობენ, სიმინდს, საჭირო სანოვაგეს. სოფლებიდან მახლობელ დაბებს ურიცხვი ხალხი აწყდება, სიმინდის საყიდლად. სად. ძირულაში (შორ. მაზ.) ამ დღეებში რამდენიმე ვაგონი სიმინდი მოიტანეს, მაგრამ რა გამოვიდა, საყიდლად ვერ მიუდგება საწყალი გლეხი, თუ თავზე ხელადებული არაა.

წარმოიდგინეთ, უბრალო დარაჯი, რომელიც დანიშნულია წესრიგის დასაცავად სიმინდის გაყიდვის დროს, ტყავს აძრობს გაძვალტყავებულსა და ბეჩავ ხალხს. ამ დღეებში სოფ. შრომის (შორ. მაზ.) მცხოვრები იაკინთე მახათაძე, პირდაპირ უსამართლოდ დასაჯა ვაჟაც დარაჯმა, შეურაცხყოფა მიაყენა ბოდიშიც მოახდევინა და პასუხის გებაში მიცემაც კი დაუპირა, „უმოწყალესად“ აპატია და ხელცარიელი გაისტუმრა.

მახვილი.

---

**ს. უკანეთი.** 8 მაისს ადგილობრივ ეკლესიაში ჩვენი საყვარელი და მებრძოლი მგოსნის, იროდიონ ევდოშვილის, სულის მოსახსენებლათ წირვა და პანაშვიდი გადავიხადეთ. პანაშვიდის დაწყებისას დამსწრე საზოგადოებას მღვდ. მიხეილ ბუაჩიძემ შემდეგის სიტყვით მიმართა: „ამ ქვეყნად ადამიანი ბევრ ტანჯვა-წვალებას განიცდის. ტანჯვა-წვალება ორგვარია; ერთი წყება ადამიანებისა პირადი საკუთარი ანგარიშებისათვის წვალობს და იტანჯება. მეორე წყება კი ჩაგრული მოძმის კეთილდღეობისათვის იბრძვის და წვალობს. ადამიანის ბუნება პირადი ანგარიშების ტანჯვა-წვალებით არ შემოიფარგლება. ასეთი ტანჯვა-წვალება ყოველი ცოცხალი არსების ხვედრია. ადამიანს, როგორც ყველა არსის მეფეს, უფრო მეტი მოეთხოვება. ეს მეტი მოთხოვნა სწორეთ ის გახლავსთ, რომ მაშვრალთა და ჩაგრულთ მოვეხმაროთ და აღვადგინოთ; მათ კეთილ-დღეობას, თუ საჭირო იქნება, საკუთარი სიცოცხლე კი უნდა შევსწიროთ.

როგორც ცხოვრებამ და გამოცდილებამ დაგვარწმუნა, ასეთ თავ განწირვამდის ყველა ქვეყანაში მხოლოდ რჩეული ადამიანები მგოსნები და მწერლები არიან. მგოსნებისათვის ქვეყნის მწუხარება და ჭირ-ვარამი საკუთარ მწუხარებას შეადგენს. ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი დამტირებელი მგოსნები ჰყავს მგოსნების ბედი და უბედობა პირდაპირ მათ სამშობლოზეა დამოკიდებული, რაც უფრო დაჩაგრულია ესა თუ ის ერი, მით უფრო დაღარიბებული და დამძიმებულია ამ ერის მგოსანი, თავისუფლების დამკარგველი ერების მგოსნები ყველანი ერთგვარ ტაფაში იწვიან. მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენი ქვეყნის არც ერთს მგოსანს სიამოვნებით ცხოვრება არ ღირსებია. ჩვენი ერის წყლული და დამონავება მათ სიცოცხლეს უმოკლებდა და უმხამავდა. აი, ერთს ასეთ მგოსანს, საქართველო დღეს თავის დედა ქალაქ თბილისში უდროვოთ საუკუნოდ მიწას აბარებს. იროდიონ ევდოშვილი ერთი საუკეთესო სახალხო მგოსანი იყო. ქართველ ხალხს შესწირა მან თავისი სიცოცხლე, მისთვის იბრძოდა იგი და იტანჯებოდა.

დაუფასებელია მისი ამაგი და შრომა ჩვენთვის, მისმა შემოქმედებითმა ნიჭმა ძვირფასი განძი უძღვნა ქართველ ერს. მისგან დატოვებულ სიმდიდრეს მხოლოდ ჩვენი მომავალი თაობა დააფასებს ღირსეულად განახლებული ახალი საქართველო გასწევს მისი მოქმედების პირუთვნელ მსაჯულობას ამ მოამაგე ადამიანმა სასტიკ სიღარიბეში დალია სული და უდროვოთ გამოესალმა წუთისოფელს ყოველი შეგნებული ქართველი, დღეს მოწიწებით იხსენიებს მის სახელს და მისი სულისათვის დოცვილობს. დე, შევუერთოთ წვენც ჩვენი ლოცვა ქართველთა საერთო გოდებას, რომ ჩვენს საყვარელს მგოსანს იქ განუსვენოს უფალმა, სადაც ქართველი ერის მოამაგე რჩეული ადამიანები განისვენებენ!

უკანეთელი.

## შემოწირულობა.

„სინათლის“ სეირნობისთვის კიდევ შემოსწირეს: სალომე ყიფიანის ასულმა—დასატუღი პალიტრა და კოლოფი, სოფიო თუმანიშვილის ასულმა—ნაქარგი სასუხრეს გადასაფარებელი, ეკ. საავოვისამ - 4 არშ. სარუბაშე, ელენინა გელოვანის ასულმა—ნაქარგი ტანისამოსის საწმენდების ჩასადები, №№—იაპონური მარაო და კოლოფი, ეკ. მდივნის ქალმა —2 ნაქარგი ხელსახოცი და 1 მ., მიხეილ მდივანმა — სამურაბე ვაზა, ეკ. გურგენიძისამ პორტფელი, 2 მოქსოვილი ხელსახოცი და ჟაბო. სოფიო ქავთარაძისამ— 2 პირსახოცი, ანნა ქავთარაძისამ — 4 ბალიშის გადასაფარებელი, 2 ბავშვის გულსაფარი, თავსაფარი, პირსახოცის დასაკიდებელი და ხელსახოცი, ნატ. ლეჟავასამ—2 ნაქარგი ბალიშის პირი, ლეონიდა ბოკერიასამ—თავსაფარი. ფულად: ივ. კახიძემ — 1 მ., ნინო მთაძის ქალმა - 1 მ., მარ ნოზაძის ქალმა—1 მ., მღვდელმა მაჩაბელმა — 50 კ., ჯიბო იაშვილმა—3 მ., სეხნიევმა — 1 მ., კესარია მამითორიამ — 1 მ., ელ. მხეიძისამ — 1 მ., ივ. ქავთარაძემ — 5 მ., ელ. ლეჟავასამ—50 კ., თამარ გაბაშვილისამ — 1 მ., პასიკო ლორთქიფანიძისამ — 3 მ, ა. ზამბახიძემ — 1 მ.

ზესტაფონში შემდეგი შემოწირულებანი შეაგროვეს:

ქ.ქ. თამარა აბაშიძემ, ბაბუცა კუწუხიძემ და ეკატერინა კანდელაკის ქალმა: ვერა ?იძისაგან - ოქრომკერდით ნაქარგი ბალიშის პირი და ნაქარგი პირსახოცი, თამარ წერეთლისაგან ნაქარგი პირსახოცი, ? — ქალის ხელსახოცი, ? — პირსახოცის ჩამოსაკიდებელი, ? ცხვირსახოცის შესანახავი, თეოდოსია მაჭავარიანისაგან — ნაქსოვი ბალიშის პირი, ნაქსოვი შანდლის ? დასადები, ნინო ლეჟავასაგან—ნაქარგი ხელსახოცი, მათიკო აბაშიძისაგან — ცხვირსახოცის ჩასადები, ქეთო უჯმაჯურიძისაგან—2 ნაქარგი ხელსახოცი, დარიკო კელენჯერიძისაგან—ხილის ვაზა და საყვავილე ვაზა, ალ. კელენჯერიძისაგან — საფერფლე და 4 მურაბის ლამბაქი სოფიო დობორჯგინიძისაგან—წყვილი ყვავილის ვაზა, ალ. თურმანიძისაგან — 6 ტილოს ხელსახოცი, სარა უზნაძის ასულისაგან—აბგა, ნინო წულუკიძისაგან—2 სურათი, ვერა ცქიტიშვილისაგან—ნაქარგი ბალიშის პირი, მათიკო საკანდელიძისაგან—ტყავის ჩანთა, გალინა ჩხეიძისაგან—ცხვირსახოცის ჩასადები, ცაბო გვალესიანის ასულისაგან—წინსაფარი, ვერა მხეიძისაგან — ნაქარგი მაუდი, ქეთო კოჭორიძის ასულისაგან—6 ტილოს ხელსახოცი, მარო თუთბერიძის ასულისაგან - 6 ტილოს ხელსახოცი, ნიკოლოზ რევაზიშვილისაგან — ბალიში, მარუცა საყვარელიძის ასულისაგან—3 ტილოს ხელსახოცი, ნინო გაჩეჩილაძის ასულისაგან—6 ტილოს ხელსახოცი, კიზო საყვარელიძის ასულისაგან—ნაქარგი ბალიშის პირი, ოლღა არდიშვილის ასულისაგან—პატარა წყლის დოქი, აკაკი ნორაშვილისაგან — მურაბის ვაზა, ბაგრ. ბიბილაურისაგან—6 დანა ჩანგალი, ითრდანე გოცაძისაგან — ხის ყუთი, ამბარცუმ აკოფოვისაგან—სურათების ალბომი, მარიამ ქადაგიძის ასულისაგან—ფინჯანი და ლამბაქი.

ფულად: ელენე სიხარულიძისაგან—3 მ., მარიამ საყვარელიძისაგან—2 მ., თამარ აბაშიძის ასულმა შემოსწირა სურათის ჩარჩო, ბაბუცა კუწუხიძის ასულმა—ნაქარგი, ეკატერინე კანდელაკის ასულმა—ნაქარგი ხელსახოცი.

---

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“


# იყიდება

## ორსართულიანი სახლი

ქალაქის ცენტრში.

იკითხეთ „სამშობლოს“ რედაქციაში.

5—8—143

---

მმათა ქორქოლაშეების

# ხრესილის აბანოზე

უკვე გაიხსნა სეზონი. წელს შედარებით წარსულ წლებთან ყველაფერი გაუმჯობესებულია და ფასებიც ზომიერია

---

# ავადმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლაპისა, ? და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დუნას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**“, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.

თქვენი უერდგულესი **ია. ნ. კოლეგოვი.**

ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)